საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მოძვი

მოძვი, სოფელი იმერეთის რეგიონის საჩხერის მუნიციპალიტეტში (ჯალაურთის ადმ. ერთეული). მდებარეობს ჭიათურის პლატოზე, მდ. ყვირილის მარცხ. ნაპირას, მდ-ების – დასავლეთის ფრონესა და რკვიანას ხეობებს შორის. ზ. დ. 800 *მ*. საჩხერიდან 15 *კმ*, 738 მცხ. (2014). **მ**-ს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი.

სოფელში დგას წმ. გიორგისა (XIX–XX სს.) და გვიანი შუა საუკუნეების იოანე ნათლისმცემლის ეკლესიები.